საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990127583665918

№09/1856 **23 / მაისი / 2018 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსს ზაალ ივანიძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2018 წლის 22 მარტის N16/16589 წერილი, რომელიც ეხება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ განძაში მდებარე 15436 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (მიწის(უძრავი ქონების) ს/კ #65.06.37.231)) პრივატიზების თაობაზე, სააგენტოს მოსაზრების წარდგენას.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი არ ფიქსირდება, თუმცა იგი ექცევა განძის ეროვნული მნიშვნელობის მქონე ძეგლების (ეკლესია და ეკლესია ეკვდერით (07.11.2006 წლის ბრძანება N665, რეესტრის N563-564)) ვიზუალური დაცვის არეალში.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად, „ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისთვის განისაზღვრება - 500 მეტრის რადიუსით.“ ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას, ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი მოხდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ განძაში მდებარე 15436 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (მიწის(უძრავი ქონების) ს/კ #65.06.37.231)) პრივატიზება.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე შემდგომი ქმედებები უნდა დაიგეგმოს მხოლოდ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით.

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე